სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ მახარობლიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

ლევან ნემსაძე

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თამარ მახარობლიძის

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ მახარობლიძე. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 33 წლისაა. განათლება: უმაღლესი იურიდიული, დოქტორი. თსუ 2012წ. ბაკალავრი, თსუ, 2014წ. მაგისტრი, თსუ, 2021წ. დოქტორი
ნასამართლობა: არა
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 9 წელი
სამუშაო სტაჟი 9 წელი, კერძოდ:

- 2015 წლის სექტემბრიდან - 2022 წლის ოქტომბრამდე - სამართალშემოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

- 2017 წლის სექტემბრიდან - დღემდე - მოწვეული ლექტორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
- 2022 წლის აგვისტოდან - დღემდე - ასოცირებული პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
- 2018 წლის თებერვალი - 2022 წლის ოქტომბერი - ასისტენტი, მოწვეული ლექტორი - ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;
- 2018 წლის მარტი - 2020 წლის მარტი - მოწვეული ლექტორი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ნოემბერი - მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, შრომისმოყვარეობას, პუნქტუალურობას, პასუხისმგებლობის მაღალ უნარს, დისციპინიურებულობას, პროფესიონალიზმს. ახასიათებენ, როგორც გაწონასწორებულ პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს აქვს პოზიციის/მოსაზრებების დასაბუთების უნარი, ზრუნავს კოლეგებთან კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება-შენარჩუნებაზე, ასევე საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

- კანდიდატ თამარ მახარობლიძეზე ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მის იურიდიულ საქმიანობასთან დაკავშირებით და ასევე ინტერვიუები პოლიტიკურ თემებზე:
  - ✓ https://1tv.ge/news/tamar-makharoblidze-qartuli-ocnebis-khelisuflebashi-mosvlis-shemdeg-sasamartlos-damoukideblobis-zrdas-adasturebs-isic-rom-7214-it-gaizarda-gamamartlebeli-ganachenebis-raodenoba/
  - ✓ https://tabula.ge/ge/news/692767-iustitsiis-umaghlesi-sabchos-aramosamartle
  - ✓ https://tabula.ge/ge/news/542296-interviu-giorgi-tughushtan
  - ✓ https://for.ge/view/166504/Tamar-maxarobliZe-es-aris-politikuri-devna-levan-murusiZis-mimarT.html
  - ✓ https://for.ge/view/190080/Tamar-maxarobliZe-zogierTi-adamiani-Tu-media-cdilobs-gausaZlis-pirobebSi-amyofon-ojaxi-yoveldRe-mouklan-Svili.html
  - ✓ https://for.ge/view/189600/Tamar-maxarobliZe-saqarTvelos-damazianebeli-definiciebi-kanonproeqtSi-ver-moxvdeba-radgan-amisTvis-arcerTi-piroba-ar-arsebobs.html
  - ✓ https://for.ge/view/188251/Tamar-maxarobliZe-ruruas-saqme-opoziciam-sabolood-gadaaqcia-politikur-Soud-dacvis-mxares-dasakiTxad-nacmoZraobis-liderebi-mihyavs-romlebsac-Sexeba-ar-aqvT-saqmesTan.html
  - ✓ https://for.ge/view/182706/Tamar-maxarobliZe-am-realobis-gaTvaliswinebiT-sagangebo-mdgomareobisTvis-zusti-dro-iqna-SerCeuli.html

- ✓ https://for.ge/view/181765/Tamar-maxarobliZe-ministr-tikaraZis-saqmianobam-dadebiTi-Sefaseba-daimsaxura-yvelas-mxridan-maT-Soris-iseTi-qveynebis-mxridan-romlebic-ekonomikurad-saqarTveloze-gacilebiT-Zlierebi-arian.html
- ✓ https://for.ge/view/174885/Tamar-maxarobliZe-gagvagebineT-marTalia-xazaraZe-Tu-ciliswamebasa-da-cru-dasmenasTan-gvaqvs-saqme.html
- ✓ https://for.ge/view/174020/Tamar-maxarobliZe-korufciis-gansakuTrebiT-savalalo-Sedegebi-ganviTarebadi-qveynisTvis-rogoric-aris-saqarTvelo-warsulSi-darCa.html
- ✓ https://for.ge/view/173254/Tamar-maxarobliZe-irma-nadiraSvilze-misi-mizani-simarTlis-dadgena-ki-ar-aris-aramed-kvlav-cru-informaciis-gavrcelebaa.html
- ✓ https://for.ge/view/171948/Tamar-maxarobliZe-saxelmwifom-anakliis-ganviTarebis-konsorciums-misca-yvelanairi-saSualeba-gadaerCina-sakuTari-monawileoba-am-proeqtSi-da-Seesrulebina-valdebulebebi.html
- ✓ https://for.ge/view/171033/Tamar-maxarobliZe-dadasturda-rom-saqmes-kavSiri-ar-aqvs-arc-Tibisi-bankTan-da-arc-anakliis-ganviTarebis-konsorciumTan.html
- ✓ https://for.ge/view/170993/Tamar-maxarobliZe-Tu-aRmoCnda-rom-xelmowera-ar-ekuTvnis-qibar-xalvaSs-gamoZieba-unda-dainteresdes-da-gaarkvios-xom-ar-aris-TaRliTobis-niSnebi.html
- ✓ https://for.ge/view/170938/Tamar-maxarobliZe-misasalmebelia-qibar-xalvaSis-iniciativa-evropeli-an-amerikeli-media-menejeris-mowvevasTan-dakavSirebiT.html
- ✓ https://for.ge/view/170767/Tamar-maxarobliZe-mxares-aqvs-gadawyvetilebis-gasaCivrebis-ufleba-rac-ar-aCerebs-saqarTvelos-sasamarTlos-gadawyvetilebis-aRsrulebas.html
- ✓ https://for.ge/view/166529/Tamar-maxarobliZe-girgvlianis-saqmis-personificireba-moxda-mxolod-levan-murusiZesa-da-erT-instanciaze-rac-arasworia.html
- ✓ https://www.ongo.ge/?l=G&m=2&ID=14050
- ✓ https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/155815/iuristi-tamar-makharoblidze-shshm-pirta-uplebebis-shesakheb-kanoni-adamiansa-da-sazogadoebis-ketildgeobaze-orientirebul-politikas-usvams-khazs
- ✓ https://imedinews.ge/ge/politika/274100/iustitsiis-umaglesi-sabchos-tsevrobis-kandidatebis-mosmenis-protsesi-grdzeldeba
- ✓ http://nsp.ge/15606-thamar-makharoblidze-nika-melia-igi-braldebulia-da-misi-braleulobisa-thu-udanashaulobis-shesakheb-mkholod-saqmis-gankhilvis-dasrulebis-shemdgom-ganachenis-gamockhadebisas-gavigebth.html
- ✓ https://exclusivenews.ge/post/154986

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.

კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება
უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 18 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება:

- სამოქალაქო სამართალი - თამარ მახარობლიძეს გააჩნია მაღალი თეორიული და პროფესიული ცოდნა. სწრაფად და ეფექტურად შეუძლია საკითხის სიღრმისეულად შესწავლა. არის თავდაჯერებული, კომუნიკაბელური, კოლეგიური და გაწონასწორებული. შეუძლია საკითხის სწორად და ცხადად გადმოცემა, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა.
- ადმინისტრაციული სამართალი - თამარ მახარობლიძე არის საკმაოდ გაწონასწორებული და გონებაგახსნილი პიროვნება. ასევე მიზანდასახული და საქმისადმი ერთგული. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. აქვს უნარი ადამიანები მის მიმართ განაწყოს პატივისცემით და ნდობით, არის კორექტული. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც კომუნიკაბელურმა ადამიანმა. გამოირჩევა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.
- სისხლის სამართალი - თამარ მახარობლიძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. თამარ მახარობლიძე არის ზრდილობიანი, გაწონასწორებული, კომუნიკაბელური, ორგანიზებული პიროვნება.
- რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური საკითხების სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- არასაპატიმრო ღონისძიების სახით კონფისკაციის გამოყენება - EU/CoE პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის რეგიონული პროექტი, 2021წ.;
- სამართლებრივი წერა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2021წ.;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2022წ. და სხვა.
- კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:
    - ✓ 2017 წლის სექტემბრიდან - დღემდე - მოწვეული ლექტორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
    - ✓ 2022 წლის აგვისტოდან - დღემდე - ასოცირებული პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
    - ✓ 2018 წლის თებერვალი - 2022 წლის ოქტომბერი - ასისტენტი, მოწვეული ლექტორი - ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;
    - ✓ 2018 წლის მარტი - 2020 წლის მარტი - მოწვეული ლექტორი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;

გამოქვეყნებული შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი)

- სტატია - „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და სასჯელთა სახეები“, პოლონურ-ქართული სამართლის მიმოხილვა, N2/2016, ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016წ.;
- სტატია - შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში“, „გურამ ნაჭყებია 75“, საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016წ.;
- სტატია - ,,ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, ჟ. ,,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017;
- სტატია - ,,არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“, ჟ. ,,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017 და სხვა.
- თავი წიგნში - ,,სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით“, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017;
- ,,არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“, გამომცემლობა ,,ბონა კაუზა", თბილისი, 2023.

- კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით,

- კანდიდატი იყო ტრენერი თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებულ ტრენერთა ტრენინგში.
- ტრენერი ტრენერთა ტრენინგში საგრანტო პროექტში - „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის“ - ივანე ჯავახიშვილის სახელოობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023წ.

სტიპენდია/ჯილდო

- კანდიდატს სტიპენდია/ჯილდო არ აქვს
- DAAD სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ვიადრინას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2016;
- ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, პოლონეთი, პოზნანი - 2017;
- კარლ ებერტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ტუბინგენი - 2017;
- შვედეთის მთავრობის სასწავლო სტიპენდია, შვედეთი, ლუნდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2019.

ფლობს ინგლისურ ენას.
არის დასაოჯახებელი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

სამი წლის განმავლობაში კანდიდატს აქვს ჩადენილი 18 სამართალდარღვევა, თუმცა ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.
შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.**

,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის'' მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა. კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას. გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების კარგი ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძვლიანი ცოდნა. მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზები და უზუსტობები არ გამოვლენილა.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -22 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომებით, ასევე დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -21 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. ამასთან დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების, რეკომენდატორთა დახასიათებებისა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგად, ასევე მისი ნაშრომების გაცნობის საფუძველზე მივიჩნიე, რომ იგი, **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -18 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. უთითებენ, რომ უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -14 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -9 ქულით.**

კანდიდატი ეწევა აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობას რამოდენიმე უნივერსიტეტში (აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი), არის არაერთი პუბლიკაციისა თუ ნაშრომის ავტორი.

შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის” მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 5 ქულით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 89 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 09. 12. 2024